ტფილისი
86

№ 46
თებერვლის 27, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 46
თებერვლის 27, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი. 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კვირას, 2 მარტს გარდახდილი იქნება ახალსენაკში ორმოცის წირვა და პანაშვიდი სენაკის მაზრის წინამძღოლად ყოფილის პოლკოვნიკის

თ. ფარნაოზ დავითის ძის მხეიძისა.

(1—42—1)

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრეს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრეს ქალაქებში საზღვარ-გარეთ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მიიღებს საქონლის შენახვათანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობნი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სტრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—90)

№ 37. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

ორი დარაჯი

მელოდრამა 3 მოქ. იტალიურიდან გადმოთარგმნ. ფ. ქორიძეს მიერ.

II

თავვის ბრალია

ვოდევ. 1 მოქ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი: გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი და სხ.

აგილების ფასი: ლოჟები 3 მ.-დგან 8 მ.-მდე, პარტერი 50 კ.-დგან 2 მ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დგან 1 მ.-მდე, გალერეია 20—35 კ.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ნორა“, „ოტელო“ და „ყაჩაღები“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვ.ილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ალაგობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად

ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისათვის—„სკრა“, კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—6)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **ქაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით **და** პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** $7—7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ხ. ტ. არგანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ოფიციალური განცხადება

გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება:

კვირას, 23 თებერვალს, დილის ათს საათზედ, გოლოვინის პროსპექტსა, სამხედრო ტაძრისა, მახლობელი ქუჩებისა და მოედნებისაკენ აუარებელი ხალხი მოდიოდა. მოემეტებული ნაწილი იყვნენ ფაბრიკებისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშები, ბევრს მათგანს ხელში ეჭირა შვინდის მსხვილი და მძიმე ჯოხები.

განმზადებული პოლიცია ნებას არ აძლევდა შეკრებისას ხალხს, მუშებს, რომელნიც სცდილობდნენ დიდ ჯგუფად შეკრებილიყვნენ და ამიტომ მათ შეჯგუფება ვერ მოახერხეს უმთავრეს ქუჩაზედ. მაინც 60—70 კაცმა მოიხდომეს უთუოდ მოეხდინათ უწესოება; მათ დაინახეს ხალხი, რომელიც მისდევდა მიცვალებულ მემამულის ფალავანდიშვილის გვამს. მიცვალებული პუშკინის ქუჩიდგან სომხეთა ბაზრისაკენ წაასვენეს; შეგროვილმა 60—70 კაცმა სწრაფად გაიარეს ტერ-ასატუროვის ქარვასლის გვერდით და შეუერთდნენ ხალხს, თან მორთეს „ურას“ ძახილი. ერთმა მანიფესტანტმა ოთხჯერ გაისროლა რევოლვერი, დანარჩენებმა ცემა დაუწყეს, ვინც მოხვდათ. ორი აფიცერი, რომელნიც მიცვალებულს მისდევდნენ, დაჭრილ იქმნენ რამდენგანმე, უმთავრესად თავში, ერთ მათგანს ტანი გაუფხაჭნა ტყვიამ, რომელიც პალტოში გაჩერდა; მახლობელ საავადმყოფოში შეუხვიეს მათ ჭრილობანი და ახლა რჩებიან სამხედრო გოსპიტალში. სასიკეთოდ აფიცერთა, ჭრილობანი არ არის საშიშო. ადგილობრივ მყოფმა პოლიციამ, ყაზახთა დახმარებით, რამდენსამე წამს მთლად გაჰფანტა მანიფესტანტები. ის რომელიც რევოლვერს ისროდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვები სცდილობდნენ მის განთავისუფლებას, დაჭერილ იქმნა სხვებთან ერთად, რომელთაც უწესოება მოახდინეს.

ტფილისის გუბერნატორის განკარგულება.

1903 წელს 25 თებერვალს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, განიხილა-რა გამოძიება 23 თებერვალს მომხდა უწესოების შესახებ, დაადგინა: ქუჩაზედ შეკრები სათვის საზოგადო მშვიდობიანობის დასარღვევა და პოლიციის წინადადების შეუსრულობისათვი დაპატიმრებულ იქმნენ: ა) სამის თვით: 1) დავით ჰუტლაშვილი—სიღნაღის მაზრის ს. ბოდბეს მცხოვრები, 2) პავლე ბერიძე—ტფილისის მდაბიო მოქალაქე, 3) ალექსანდრე სანაძ —ქუთაისის მაზრის, ს. ხონის მცხოვრები 4) ივანე ბუდრისი—კოვენის გუბერნიის მცხოვრები, 5) სიმონ გელაშვილი—შორაპნის მაზრი მცხოვრები 6) ვარდენ გვენცაძე—რაჭის მაზრი ს. გვერდის მცხოვრები—7) ვლადიმერ ბახტაძე—დიდი ჯიხაიშის მცხოვრები, 8) მარტირო მირაქოვი,—ბორჩალოს მაზრის, ს. შულავერი მცხოვრები.

ბ) ექვსი კვირით: 9) რაჟდენ თევზაძე—ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, 10) გეურ ოსიფოვი—ტფილისის მდაბიო მოქალაქე; 11 ეფიმ ჩუყური—დუშეთის მაზრის მცხოვრები 12) გრიგოლ კოლხიდოვი—დუშეთის მაზრი მცხოვრები, 13) ივანე ტამასიძე—ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრის მცხოვრები, 14) გიორგი თევდორაშვილი—ტფილისის მაზრის, ს. ხაშმის მცხოვრები, 15) ლეონტი ქორიძე—ქუთაისის მაზრის, ს. საჯავახოს მცხოვრები 16) კონსტანტინე შაგინოვი—ტფილისის მდაბიო მოქალაქე.

გ) სამის კვირით: 17) მინა კალაძე—ქუთაისის მაზრის, ს. ეწერის მცხოვრები, 18) პეტრე ჯინჯაბაძე—ტფილისის მაზრის მოქალაქე, 19) ვასილი ათაბეგოვი—ტფილისის მდაბიო მოქალაქე, 20) ნესტორ ჯაბაშვილი—ტფილისის მაზრის, ს. ზაღლის მცხოვრები, 21) ვასილ ხუციშვილი—რაჭის მაზრის, ს. ამბროლაურის მცხოვრები.

დ) ერთის თვით: 22) ოლგა გაბუნია—ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები.

ე) ერთის კვირით: 23) რინა ახვლედიანი—ქუთაისის მაზრის მცხოვრები, 24) მართა გოგიტაშვილი—გორის მაზრის, ს. გომის მცხოვრები.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა 23 თებერვალს 12 საათიდგან.

ტფილისი, 27 თებერვალი.

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას დღევანდელს კორესპონდენციას ქვემო მაჩხაანიდგან, რომელიც შეეხება ერთ ფრიად დიდ-მნიშვნელოვან საქმეს,—იაფის წიგნების გავრცელების საჭიროებას სოფლად.

ყველა დამეთანხმება, რომ ამ მხრივ ჩვენს ინტელიგენციას დიდი ღვაწლი არ მიუძღვის.

ისეთ მიყრუებულ სოფელს ვერ ნახავთ, რომ უბრალო დუქანი არ იყოს, წიგნის მაღაზიას-კი აქა-იქ თუ შეხვდებით, ისიც მხოლოდ ზოგიერთ დაბაში; ხსენებულ მაღაზიებშიაც-კი უფრო სამოსწავლო წიგნებს ჰყიდიან, ვიდრე სხვა რამეს.

სამწუხარო გარემოებაა, რომლის მიზეზი ორგვარია: 1) ერში თავდაპირველად ნივთიერი მოთხოვნილება იღვიძებს და, როდესაც იგი კულტურის ამ პირველ საფეხურზედ ადის, მაშინ ეღვიძება სხვა, უფრო კეთილშობილი მოთხოვნილება—წყურვილი განათლების შეძენისა. ეს საყოველთაო კანონია. თუმცა ძნელია საზღვარი დაუდვას კაცმა ხსენებულ ორ საფეხურს. 2) როგორც ზემოდ ვსთქვით, ჩვენი ინტელიგენცია არ ცდილა აქამდის იაფი წიგნების გავრცელებას სოფლად. სულიერი წინამძღოლი ერისა მისი ინტელიგენციაა; ქარხანა, რომელიც ჰქმნის გონების განმანათლებელ წიგნებს და აწოდებს საზოგადოებას, სხვა არავინ არის, გარდა ინტელიგენციისა. როგორც განვითარებული ქარხანა ამზადებს იაფ-ფასიან სავაჭროს და აღვიძებს ამით ახალ მოთხოვნილებას მომხმარებელთა შორის, აგრეთვე ინტელიგენციას შეუძლიან იაფის წიგნების გამოცემით და გაყიდვით შეაჩვიოს ერი კითხვას და წინ წასწიოს განათლების საქმე. როგორც ხალხის მოთხოვნილება ამრავლებს იაფ საქონელს, აგრეთვე თვით იაფ საქონლის დამზადება აძლიერებს და ამრავლებს თავისს მხრივ საერთო მოთხოვნილებას.

მართალია, ჩვენი სოფელი განათლების მხრივ წარმოადგენს ბნელეთს, მაგრამ ამ ბნელეთის განათება შეუძლიან უმთავრესად წიგნს. ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველას კარგად გვესმის, მაგრამ მისს განსახორციელებლად-კი არ ვმოქმედობთ.

სასწავლებელი უწიგნოდ არა-რაა. რამდენია, რომ ოთხი-ხუთი კლასი გაუთავებია, მაგრამ უწიგნობის გამო კითხვაც-კი დავიწყებია. ვიცით, ზოგიერთი გვეტყვის, იმ მემამულეს, რომელსაც წელიწადში ასი-ორასი თუმანი შემოსდის, ნუ-თუ არ შეუძლიან იყიდოს წიგნი, თუ კითხვისათვის გული ერჩისო? რასაკვირველია, შეუძლიან, მაგრამ, რომ ეძნელება, ესეც ცხადია, რადგან ახლა ქართული წიგნები საზოგადოდ ერთობ ძვირად ჰფასობს. იაფ-ფასიანი წიგნი-კი წაიტყუილებს, ჩაითრევს, გამოამეტებინებს ფულს, იმასაც-კი, ვინც მაინცა-და-მაინც დიდად არაფრად შეაწუხებდა თავს უწიგნობით. ამგვარად, მკითხველთა რიცხვი ერთი ასად გამრავლდებოდა იაფი წიგნების წყალობით.

აქ არ შეგვიძლიან, არ შევეხოთ ერთ ფრიად სამწუხარო გარემოებას, რომელიც მძიმე ლოდად აწევს ჩვენს ლიტერატურას. ეს ლოდი ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობაა. მას შეუძენია უფლება ჩვენის უკეთესის მწერლების ნაწერების გამოცემისა, გამოსცა კიდეც ზოგიერთი მათი ნაწერები იმ ფასად, რაზედაც ღარიბ ქართველ საზოგადოებას ხელი არ მიუწვდება და, რადგან ხეირი ვერ ჰნახა, გამოცემაც შეაჩერა და აღარც სხვა გამომცემელს უთმობს პრივილეგიას. ამგვარად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხ. ემსგავსებიან მიჯაჭვულ ამირანს, რომლის ახსნასაც ვეღარ მოვესწრარით. ქართული ლიტერატურა შეპყრობილია ამხანაგობისაგან, მისი განთავისუფლება შეუძლებელი გამხდარა.

შეიძლება ვინმე სთქვას, ამხანაგობა ვერ უშვებს ხელიდგან ნაყიდ უფლებას, რადგან მაშინ აუცილებელი იქნება მისი გაკოტრებაო. შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ ისევ ამხანაგობის ნივთიერი კოტრობა გვირჩევნია ერის გონებრივ კოტრობას. ნიჭიერი მწერალი ეკუთვნის მთელ ერს და არა კერძო ამხანაგობას და არავის არა აქვს უფლება, დაატყვევოს მისი ნაწერები.

მანამდის-კა, ვიდრე ჩვენის ერის უმრავლესობისათვის ჯერ-ხანად დაკარგულ მწერლებს ხსენებულ ამხანაგობის ხელიდგან განვათავისუფლებდეთ, მეტი ღონე არ არის, ის უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას, რაც ჩვენ ხელთ არის.

ჩვენ გვაქვს ორგანო, რომელსაც შეუძლიან აღასრულოს ყველაზედ უკეთ ეს დიდი საქმე; ეს ორგანო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა. მას შეუძლიან უფრო მხნედ მოეკიდოს ამ საქმეს, ვიდრე აქამდის ეკიდებოდა. საჭიროა გამოცემა მრავალგვარ იაფ-ფასიან წიგნებისა, რომ საზოგადოებას მათი ყიდვა გაუადვილდეს. საჭიროა აგრეთვე აგენტების აჩენა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც. საჭიროა მეტი მხნეობა და მეტი ენერგია, საჭიროა უკუ-ვაგდოთ ის საღათას ძილი, რომლისათვისაც თავი მიუცია დღეს თითქმის ყოველსავე ქართულ სასარგებლო დაწესებულებას.

დროა, გავიღვიძოთ...

ტფილისი

◆ კანცელარია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გვატყობინებს, რომ ამ საზოგადოების გამგე კომიტეტმა გუშინ 26 თებერვალს მიიღო სამი ათასი თუმანი (30,000 მ.) სკოლის შენობის სასარგებლოდ სტეფანე და იაკობ კოსტანტინეს ძეთა ზუბალაშვილთაგან.

◆ დღეს ქართულ თეატრში დაიწყება ქართული წარმოდგენები, რომლებსაც მართავს ქართული დრამატიული დასის მსახიობთა ამხანაგობა; წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა „ორი დარაჯი“, მელოდრამა 3 მოქმედ., გადმოთარგმნილი იტალიურიდგან; შემდეგ—ვოდევილი „თაგვას ბრალია“, 1 მოქ., თარგ. ფრანგ.; მონაწილეობას მიიღებს თითქმის მთელი დასი; ადგილების ფასი შესამჩნევად დაკლებულია.

◆ დღეს დანიშნულია ქალაქის სკოლათა კომისიის წევრთა კრება.

◆ „ივერიის“ რედაქციამ მიიღო 16 მან. და 21 კაპეიკი, შეკრებილი მოზარდ ქალების შორის, ვლადიმერ მესხიშვილის სასარგებლოდ; ხსენებული ფული უკვე გარდაეცა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას.

◆ გუშინ-წინ მოხდა ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება; კრებას დაესწრო გამგეობის უფროსი ბუხგალტერი ვერმიშევი, ხორცის დუქნების შემოსავალ-გასავლის მოანგარიშე მალხაზიანი და სხვა; კრებამ განიხილა დუქნების საანგ. წიგ. ფორმა და სცნო, რომ შესაფერისად არ არის შემუშავებული და ამიტომ აძნელებს მუშაობასაო; ამის გამოისობით კრებამ დაავალა კომისიის წევრთ ბ. ევანგულოვს, ვერმიშევს და მალხაზიანცს შეიმუშაონ გაადვილებული საანგარიშო ფორმის წიგნები და წარუდგინონ კომისიას.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ჟურნალ „ჯეჯილში“ მალე დაიწყება ბეჭდვა მარკ ტვენის მოთხრობისა: „Принцъ и нищій“. ნახატებიც მზად არის და ამიტომ რედაქცია „ჯეჯილისა“ სთხოვს ყველას, ამ თხზულების თარგმნას ნუღარავინ დაიწყებს“.

◆ თუმცა გამგეობის წევრი ბ-ნი კოკჩაევი აცხადებს, რომ ვითომ იგი წინააღმდეგი არ იყოს გამგეობის მოხელეთა საღამოს მუშაობის დაჯილდოვებისა, მაგრამ საქმე-კი ამნაირად იყო: შესამოწმებელი იყო 300-მდე ტფილისის სავაჭრო პოლიციის წიგნების ნომრები; ამის გარდა, ვინც ამ სამუშაოს იკისრებდა, ამ წიგნებისთვის უნდა გეეყარა ზონარი და ბოლო გვერდზედ დაესვა ლაქით ბეჭედი; უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველ წელს გამგეობა ამ წიგნების შემოწმებაში აძლევდა გასამრჯელოს, ვინც ამ მუშაობას იკისრებდა; დღეს აქამომდე ამ სამუშაოს ასრულებდა მეოთხე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე დერზიბაშევი და ყოველთვის, ჯამაგირს გარდა, ამ საქმის ცალკე გასამრჯელოსაც იღებდა; შემდეგ, რაც ბ-ნი დერზიბაშევი, მეოთხე განყოფილებიდგან სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს, ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა ეს სამუშაო ხან ვის შეაძლია ხან ვის, მაგრამ მათ თითო წიგნის შემუშავება არც 30 კ. იკისრეს; ბოლოს ეს სამუშაო იკისრა ერთმა მოხელეთაგანმა, რომელიც თვეში 20—24 მ. ჯამაგირს იღებს, თითო წიგნი ორ-ორ შაურათ; განყოფილების გამგე ამ მოხელეს ნებას არ აძლევდა ემუშავნა სამუშაოდ დაწესებულ დროს; ამის გამოისობით იგი მოვალე იყო კვირაუქმობით და საღამოობითაც მოსულიყო, ან შინ წეეღო სამუშაო და გაეთავებინა საქმე; ბოლოს დროს, როცა სამუშაო დაასრულა მოხელემ და წარუდგინა ანგარიში გასამრჯელოს მისაღებად, ჩერქეზიშვილმა, ეფინჯიანცმა და თვით შესტაკოვმა განაცხადეს, მიეცეს პირობისამებრ თითონ წიგნში ორ-ორი შაურით. ბ-ნი კოკჩაევი ამის შესახებ შემდეგ საკუთარს აზრს აწერს ქაღალდს: По моему мнѣнію, вопросъ этотъ (ესე იგი, ამის დასაჩუქრება) требуетъ принципіальнаго обсужденія, такъ какъ скрѣпа и прошнуровка книгъ торгово-хоз. полиціи лежитъ на обязанности самой управы и не составляетъ для служащихъ управы посторонняго занятія, требующаго особаго вознагражденія. (Постановл. 24 февр.)

თუ კოკჩაევი წინააღმდეგი არ არის, რომ მოხელეებს საღამოს სამუშაოში გასამრჯელო ეძლეოდეთ, ამ შემთხვევაში რად განაცხადა უარი? ეს გაუგებარია, ქალაქის ქონების გაფრთხილებაც ესეთი გაგვიგონია; სადაც თუმნობით იკარგება, იქ ვითომც ვერას ამჩნევენ; როცა კაპეიკზედ მიდგება საქმე, იქ კერძო აზრის წარდგენაც დასჭირდებათ ხოლმე.

რა გავლენა აქვს ზამთრის სიცივეს აბრეშუმის ჭიის თესლზე.

(წერილი დიუკლოსი პასტერთან *)

რა-კი გამოცდილებით ვიცოდი,—სწერს დიუკლო, რომ აბრეშუმის ჭიის თესლისათვის საჭიროა ზამთრის სიცივე, რათა თესლი დამწიფდეს და იქიდან ჭია დაუბრკოლებლივ გამოვიდეს, განვიზრახე ხელოვნურად გამეცივებია თესლი, იმის გასაგებად, იქნებოდა თუ არა ეს საკმაო, რომ თესლი დამწიფებულიყო და, მაგალითად, აგვისტოში გაცივებულ თესლიდან გიორგობისთვეში ჭია გამოჩეკილიყო. ამისთვის აბრეშუმის ჭიის თესლი გავანაწილე ორად; ერთი ნაწილი დავტოვე ჩვეულებრივ ჰავაზე, მეორე ნაწილი-კი ოთხ დღეს საყინულეში მოვათავსე... მერმე, 20 სეკტემბერს, ავიღე გაყინული თესლი და იმდენივე გაუყინავი—და ორივეს დრო გამოშვებით, თანდისთან, მივეცი სითბო ოც გრადუსამდე. დღეს სიამოვნებით შემიძლია გაცნობოთ, რომ გაყინულ თესლიდან ჭია საუცხოვოდ გამოიჩეკა, მაშინ როდესაც გაუყინავიდან ერთი ჭიაც-კი არ გამოტეხილა....

ამ დაკვირვებიდან გამოდის, სწერს დიუკლო, რომ აბრეშუმის ჭიის თესლი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დამწიფებულად და არ დამკუნდება (ჭია თანასწორად და ყველა კვერცხიდან გამოტყდება), როცა ეს თესლი გამოსცდის ზამთრის საკმაოდ სუსხიანს და ხანგრძლივს სიცივეს თესლი რომ აგვისტოდან გაზაფხულამდის ოც გრადუსიან სითბოში შევინახოთ, მთელად დამკუნდება და ჭიას არ მოგვცემს. და თუ თესლმა გამოსცადა სიცივე, მაგრამ ან ერთობ მცირე ხანს, ან რბილი სიცივე და არა მაგარი, ასეთ თესლიდან ჭია თუმცა გაზაფხულზე გამოჩეკას იწყებს, მაგრამ ძლიერ უსწორ-მასწოროთ და თან გამოსვლისთანავე ცოტა თუ ბევრი დაიხოცება. იმოდენად მეტი სისუსტე შეემჩნევა ჭიას გამოტეხაზე, რამოდენათაც თესლმა ზამთარში არა ხანგრძლივი და რბილი სიცივე გამოსცადა.

მაშასადამე, თუ გვინდა, რომ თესლიდან ჭია გამარჯვებით გამოტყდეს, თესლი დიდ სიცივეში უნდა გამოვაზამთროთ. თბილი ზამთარი და თესლის ცუდი გამოზამთრება არისო,—დაასკვნის დიუკლო,—თავი მიზეზი თესლის დამკუნებისაო.

ეს წერილი პასტერს გადაუცია პარიჟის სამეცნიერო აკადემიისათვის, სხვათა შორის, შემდეგის შენიშვნით: „დღეიდან ჩვენ ადვილად შეგვიძლია ავხსნათ იაპონელ მეაბრეშუმეთა ჩვეულება; იაპონელები აბრეშუმის ჭიის თესლს შუაგულ ზამთარში რამდენსამე დღეს გაყინულ წყალში ინახავენო“.

ნ. წერეთელი.

ჩვენებური ამბები

ქიზიყი. გულ-საამებელ სანახავს წარმოადგენს ქვემო-მაჩხაანის მთა ყოველ წელიწადს ყველიერის პარასკებიდამ ღამდეგ-დიდმარხვის ორშაბათ საღამომდის. ხსენებულ მთაზედ იკრიბებიან სამხიარულოდ ოთხის დღის განმავლობაში ქვემო-ქიზიყის უზარ-მაზარ სოფლებიდამ მორთული მანდილოსნები და ქუდოსნები. ზოგნი ზემო-ქიზიყიდამაც მოდიან ცხენებით, სალხინო სეირის მოსახილველად. მთაზედ იმართება ქალ-ვაჟთა თამაშობა, სიმღერა, საპატარძლო-სასიძოების მუშტრის თვალით ყურება და ყველაზედ დიდი და ხანგრძლივი გასართობი კი მრავალი ფალავნების ჭიდილია.

ხალხის საკრებულო მთა ძველ რომაელთა ამფითეატრს მიემსგავსება: შუა-წელში ლანგარივით ვაკე და ვრცელი მოედანი აქვს, სადაც ჭიდაობენ ფალავნები, რომელთაც თავს დასცქერის ამწვანებულ მთაზე ცხვარ-ბატკანივით შეფენილი რამდენიმე ათასი ადამიანი.

როდესაც ფალავანი ფალავანსა ჰლახავს, აუარებელი ხალხის აღტაცებული გუგუნგრიალი ცასა სწვდება: ბარაქალას ძახილით შეაქებენ გამარჯვებულ ფალავანს და აზღვავებული ხალხი მაღლა ისვრის თოჯა-კუკუით ხელში აყვანილს. წელსაც, ჩვეულებისამებრ, უთვალავი ხალხი ჰფარავდა მაჩხაანის მთაგრეხილს, რომლის წვერს „დიდებული“ ჰქვიან, რადგანაც ისე დიდებულად მოსჩანს იქიდამ შორით-შორამდე გადაჭიმულ ალაზნის მრავალ-სახოვანი ველ-მინდვრები და ცას წვერმიბჯენილი, კავკასიონის ბუმბერაზ-მთები, რომ რა სათქმელია იმასთან შვეიცარიის ზოგიერთი ნაქები გადასახედიც-კი.

იმოდენა აზვავებულ ხალხში უწესოება არაფერი მომხდარა წელს. ერთს ფალავანს მიწაზე დაცემის დროს მკლავი ამოვარდა მხარში, რის გამოც სიბრალულის ცრემლებიც-კი გადმოსდიოდათ ზოგიერთ გულ-ჩვილ მანდილოსნებს.

ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ რომ სახალხო შინაარსის, იაფ-ფასიან წიგნაკებსა ჰგზავნიდეს ასე მრავლად თავ-მოყრილ ხალხში და დღეობებში, ფუტკარივით დაესევოდნენ წიგნაკებს სასყიდლად წერა-კითხვის მცოდნე სოფლელნი, რომელნიც მრავალნი არიან დღეს ქიზიყის გლეხობაში—ქალნიც და კაცნიც. ამათში 90%-ტს უფრო თავისი სურვილითა და მოწადინებით შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა—ზოგს მინდორში—სკოლაში ნამყოფ ბიჭებისაგან, ზოგს „ოსტატთან“, ზოგს მწიგნობართა ოჯახში მოჯამაგირობის დროს, ზოგს დუქანში, ზოგს მონასტერში, ზოგს სალდათობაში, ზოგს სატუსაღოში და ბოლოს ესენი გულით მოწადინებულ დიდრონებსაც ასწავლიან წერა-კითხვას „მადლის გულისათვის“.

აი, ასეთი სწავლა-ცოდნის სიყვარულის წყალობით, წერა-კითხვის მცოდნე ქალ-ვაჟნი „სულით დაეძებენ“ დღეს სოფლებში „კაი საკითხავ წიგნებს“, მაგრამ მათ კვალსაც ვერსად პოულობენ, რადგანაც ასი ათას მცხოვრებელთა სიღნაღის მაზრა-ქიზიყში ჯოჯოხეთის ახტალასავით დუღს და გადმოდის კუჭის საზრდოს უთვალავი დუქნები, და ჭკვა-გონების საზრდოს დუქანს-კი თავნება დიოგენის ფარნითაც ვერსად იპოვნით მთელს უზარ-მაზარ მაზრაში ჩვენდა სამარცხვინოდ!

სოფელს კარდენახში სანაქებოდ მომქმედი სახალხო ბიბლიოთეკა არსებობს. გულით ვისურვებთ, რომ საღათას ძილიდამ ახლად გამოღვიძებულ ქვემო-მაჩხაანის ბიბლიოთეკასაც კარდენახის ბიბლიოთეკასავით ემოქმედნოს ხალხის გონების თვალის ასახილებლად. ქიზიყის წიგნიანი თუ უწიგნო ხალხი იქამომდე ცნობის მოყვარეა, ჩინებულ სადილზე დაპატიჟებასაც არ დაგიმადლებთ ისე, როგორც იმას, თუ კვირაუქმე დღეს, მოცლის დროს, კაი ძველკაცური აქიებსა და ზღაპრებს უამბობთ, ან გონივრულ რასმე წაუკითხავთ „ქრისტიანული ენით“.

დიდად საჭიროა ქიზიყის ყველა დიდრონ სოფლებში დაარსდეს სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ფრიად საჭიროა აგრეთვე გაიხსნას სიღნაღში წიგნის მაღაზია მთელის მაზრისათვის და სულით და გულით სანატრელია ესაც, რომ ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ იყოლიოს სახალხო წიგნაკების ვამავრცელებელი კაცი, რომელიც ივლიდა სოფლებში და ადამიანთა ჭკვა-გონების გამომაფხიზლებელ საზრდოს ანუ მადლის მთესველ წიგნაკებს მიჰყიდდა ხალხს ქვეყნის სიკეთისათვის.

მოამბე.

რუსეთი

19 თებერვალი, დღესასწაული სრულიად რუსეთისა. რუსეთიდგან ახლად მოსულის გაზეთების სიტყვით, მთელს რუსეთს უდღესასწაულნია 19 თებერვალი,—დღე გლეხთა განთავისუფლებისა ბატონ-ყმობისაგან.

ყოველივე უსამართლოება ცხოვრებისა, ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად, თვითვე გამოუთხრის ხოლმე ძირს თავის თავს.

ასე დაემართა სამარცხვინო ბორკილს ბატონ-ყმობისას, რომელსაც დიდხანს ჰყავდა შეხუთული რუსეთის გლეხ-კაცობა და ყოველ მხრივ წინ ეღობებოდა მის მისწრაფებებს... იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ 19 თებერვალს 1861 წელს გამოაცხადა მანიფესტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ ბატონ-ყმობისაგან... აი, ეს დღე უდღესასწაულნია რუსეთს.

ამ დღეს დაერქვა „სრულიად რუსეთის დღესასწაული“.

შემცდარია ზოგიერთთა აზრი, ვითომ ეს დღე—დღესასწაულია მარტო გლეხთა, რომელნიც იმყოფებოდნენ ბატონ-ყმობის მძიმე უღელ ქვეშ. განა სახელმწიფოს ყოველის წევრისათვის არ იყო სამარცხვინო ყოველი წარმატებისა და გაადამიანების მტერი—ბატონ-ყმობა, რომლის გადავდებითაც სამარცხვინო პირბადე აეხადა ყოველს პატიოსანს და სამშობლოს ნამდვილად მოყვარულს კაცს?!

ამას გარდა, შევადაროთ ახლანდელი მდგომარეობა ბატონ-ყმობის ხანას და მაშინ ყოველი თვალხილული და საღი კაცი აშკარად დაინახავს, რომ რეფორმების შემოღებით გლეხებმა გაცილებით ნაკლები ნაზიჯი წარსდგეს წინ, ვიდრე დანარჩენთ, რომლებსაც ბატონ-ყმობის გადავდებით არაფერი მოაკლდათ. არიან ისეთნიც, რომელნიც ამტკიცებენ, გლეხ-კაცნი ბატონ-ყმობის წინად უფრო კარგად სცხოვრობდნენ, ვიდრე მის შემდეგაო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიტყვით: გლეხკაცთა ცხოვრება ბატონ-ყმობის შემდეგ ნივთიერად ცოტად მაინც გაუმჯობესდა.

ასე თუ ისე, ბატონ-ყმობის გადავდებით ყველა კლასმა გლეხზედ მეტი მოიგო, იმ გლეხზედ, რომლის შეხუთულმა და უილაჯო ცხოვრებამ მთავრობის ყურადღებაც-კი მიიქცია ამ ჟამად.

ვინც როგორც უნდა აფასებდეს ბატონ-ყმობის მოსპობას, ის მაინც ცხადია, რომ ეს მოსპობა აუცილებლად საჭირო იყო.

ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს ისმოდა პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ საუკეთესო კაცთაგან და ეს პროტესტი დღითი-დღე იზრდებოდა, მაგრამ ყველა ამას, სასიკეთოდ, ბოლო მოუღო რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, რომელმაც ამით დაუვიწყარი საქმე მოიქმედა.

როგორც ბატონ-ყმობის დროს, აგრეთვე ახლაც წამოყენებულია საკითხი გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებისა.

დიაღ, 43 წლის განმავლობაში რუსეთი საკმაოდ შეიცვალა; ცხადად ვხედავთ, ყველა წინ მიდის, მაგრამ... გლეხი ერთგვარს უბედურს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და, თუ უკან არა, წინ მაინც არ მიდის. გლეხთა ამგვარ მდგომარეობას ვერ შეურიგდება თვით სახელმწიფოც, რომელსაც ამით ჩირქი ეცხება და მთავრობა სცდილობს, იღონოს რამ გლეხთა დასაყენებლად მოქალაქეობისა, განათლებისა და თავისუფლების გზაზედ.

ეს-კი შესაძლებელია მაშინ, როცა გლეხკაცთ მივცემთ „მას, რაც ჩვენ კარგ რამედ მიგვაჩნია“, გლეხ-კაცთათვის საგანგებოდ არ უნდა გამოვიგონოთ ისეთი „კარგი რამე“, რომელიც ჩვენთვის არა გვსურს.

43 წლის წინად მომხდარმა დიდმა რეფორმამ აღადგინა გლეხთა ადამიანური და მოქალაქობრივი უფლებანი; ახლა ამ რეფორმის დასასრულებლად საჭიროა გლეხთა გონებრივის და ნივთიერის ცხოვრების გაუმჯობესობა...

უცხოეთი

ბელგია. ბრიუსელიდგან იუწყებიან:

გაცხარებულ კამათის შემდეგ, რომელიც გამოიწვია არაყზედ ბაჟის მომატების კანონპროექტმა ბელგიის პალატაში, ხელახლად შეუდგნენ იმ კანონის განხილვას, რომელიც მუშაობის დროს მომხდარ უბედურ შემთხვევებს ეხება. ამ პროექტის შესახებ ჯერ კიდევ შობის უქმეებამდე ჰქონდათ მსჯელობა, მაგრამ ვეღარ დაამთავრეს, რადგან თითქმის ყოველ მუხლს შესწორება და დამატება დასჭირდა. შესაძლებელია, რომ ვერც ამ სააღდგომოთ მოასწრონ ამ პროექტის დამტკიცება.

— მაკედონიის საზოგადოებას, რომელსაც ამ ჟამად ბრიუსელში აქვს კრებები, ამ დღეებში დიდი ყრილობა მოუხდენია, მაკედონიასა და სომხეთში ოსმალების მხეცურ საქციელის გამო, წინააღმდეგობის გამოსაცხადებლად.

---

*) იხილე პასტერის მე-II ტომი „Etudes sur la maladie des vers à soie“—გვერდი 315

ნ. წ.

დეპუტატმა სოციალისტმა ვანდეველდემ დაწვრილებით განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ისტორია მაკედონიის საკითხისა, სომხების ჟლეტისა 1895—1896 წწ. და ის შემაძრწუნებელი ამბები, რომელიც დღეს ხდება მაკედონიაში. ორატორის აზრით, ყველას წმინდა მოვალეობად უნდა მიაჩნდეს, ხელი შეუწყოს ისეთ საზოგადო აზრის შედგენას, რომელიც უეჭველად გავლენას იქონიებს ევროპის სახელმწიფოებზე და ეს უკანასკნელნიკი თვით ხონთქარს გახდიან პასუხის მგებლად, თუ კიდევ სადმე მის პროვინციებში განმეორდა ამგვარი სიმხეცე.

ლიბერალთა დასის დეპუტატმა ლორანმა თითქმის იგივე აზრი გაატარა თავის სიტყვაში და დასასრულ დასძინა, აუცილებლად საჭიროა აიძულონ ოსმალეთის მთავრობა, რომ სან-სტეფანისა და ბერლინის ტრაქტატები სისრულეში იქმნას მოყვანილიო. კრებამ დადგენილებაც თითქმის ამ გვარივე მოახდინა.

ინგლისი. ახალშენთა მინისტრი უკანვე ბრუნდება სამხრეთ-აფრიკიდგან. პორტუგალიის მთავრობას განუზრახავს დიდის ამბით მიეგებოს, ჩემბერლენს(!) აი, რასა სწერს ამის შესახებ გაზ. „Berl. T.“-ს ლისაბონელი კორესპონდენტი:

ინგლისის მეფემ დეპეშით გულითადი მადლობა შესწირა პორტუგალიის მეფეს, რომელმაც სამხედრო გემი გაჰგზავნა კუნძულ გადეირას, მისაგებებლად ინგლისის ესკადრისა და სამხრეთ-აფრიკიდგან მომავალ ახალშენთა მინისტრის ჩემბერლენისათ.

ინგლისშიაც დიდის ამბით აპირებენ ჩემბერლენის დახვედრას. ჯერ დანამდვილებით არა ითქმის-რა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მოგზაურობასო.

იტალია. გაზ. „Armenia“ იუწყება, ვიღაც ბოროტმოქმედებმა მოიწადინეს ვენეციაში მცხოვრებ სომეხ პუბლიცისტის არპიარიანის მოკვლა, მაგრამ განზრახვა უნაყოფოდ დარჩა. როგორც ფიქრობენ, არპიარიანს იმიტომ სდევნიან, ვითომ სომეხთა სარევოლიუციო კომიტეტის ზოგიერთი ნამოქმედარი გამოამჟღავნოსო.

შეერთებული შტატები. სამხრეთ შტატებში ფედერალურ თანამდებობებზედ ზანგთა დანიშვნამ დიდი უსიამოვნობა გამოიწვია. ამის შესახებ რუზველტმა კერძო წერილში გამოაცხადა: „ჩემის შეხედულობით, სარწმუნოება და ეროვნება ვერ დააბრკოლებს, რომ რომელიმე თანამდებობა მიიღოს კაცმა, აგრეთვე ვერ დააბრკოლებს კაცის სიშავე ან სითეთრე. სამხრეთის შტატების მოქალაქეთა საქციელმა სწორედ განცვიფრებაში მომიყვანა. მე გადაწყვეტილი მაქვს არ ვუღალატო ერთხელვე არჩეულს გზას და ვერც ვერავინ მაიძულებს, რომ მას გადავუხვიო“.

მაკედონია. თუმცა საერთო ამბოხება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მაკედონელებსა და ოსმალებს თითქმის ყოველ დღე აქვთ ხოლმე საზღვრებზედ შეტაკება. გასულ კვირას ბულგართა ბრბოებსა და ოსმალთა ჯარებს სამოთხგან მოუხდათ ბრძოლა. ოსმალთა მოხელენი ამტკიცებენ: „ავაზაკ“ ბულგარებს სამხედრო ფორმის მუნდირები ეცვათო; ჩრდილოეთ ალბანეთში ოსმალნი შეუდგნენ მცხოვრებთა იარაღის ჩამორთმევას, მაგრამ ხალხი არ დამორჩილდა და მოუხდათ ბრძოლა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. ამ ბრძოლის შესახებ ორნაირი ხმა დადის: ერთნი ამბობენ, ოსმალთა რაზმი გაიმუსრაო, მეორენი—მთელმა რაზმმა, რომ შველა არსაიდამ სჩანდა, იარაღი აიყარა და მეამბოხეებს დამორჩილდაო. ამ ამბავმა ილდიზ-კიოსკი დიდს საგონებელში ჩააგდო.

ბულგარია. დემოკრატთა უმთავრესი ორგანო „პრეპორეც“-ი, რომლის მეთაურადაც ეხლახან გარდაცვალებული პეტკო კარაველოვი იყო, ერთს ვრცელს მეთაურ წერილში არჩევს მაკედონიაში გამოცხადებულს რეფორმებს, სძრახავს გერმანიის პოლიტიკურ მოქმედებას, რომელმაც რეფორმის ვრცელი პროექტი, რამდენადაც-კი შესაძლო იყო, შეამცირა. ამით მას აზრად ჰქონდა მტკიცედ დაეცვა მაკედონიის მკვიდრ მუსულმანთა უპირატესობანი, ე. ი. მაკედონიის საქმეები იმ მდგომარეობაში დარჩენილიყო, როგორშიაც აქამდე იყო. „პრეპორეც“-ი შემდეგს სიტყვებით ათავებს თავის მეთაურს.

„ამ რეფორმების შემდეგ საქმე კიდევ უფრო იხლართება; ჩვენს (ბულგარეთის) მთავრობას ყური ფრთხილად უნდა ეჭიროს; მას ყოველ ჟამს მზად უნდა ჰყავდეს ჯარი, რადგანაც, თუ მისთვის, მთავრობისთვის, მაკედონიის საქმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სამაგიეროდ ბულგარიის ხალხი დიდის თანაგრძნობით ეკიდება თავის მოძმე მაკედონელთ. დროა, ბულგარიის მთავრობამ გამოაცხადოს თვისი აზრი შესახებ იმ რეფორმებისა, რომლებმაც დანევის კაბინეტი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო,—თელს სამთავროს ხელი ჰკრა და ლამის უფსკრულში გადაუძახოს“.

ბოსტანი და ბოსტნეულობა.

ბოსტნეულობათა ოთხი ჯგუფი.

მიწაში, როგორც წინადაც ვსთქვით, იმყოფება ორგანული და მინერალური ნივთიერებანი, რომელნიც შეადგენენ მცენარეების და ცხოველების სხეულს. გარდა ამისა, მინერალური ნივთიერება მიწაში ორგვარ მდგომარეობაშია: უმეტესი ნაწილი მაგარია და ამას მცენარე ვერ ითვისებს; ამ მაგარ ნაწილებიდგან სხვა-და-სხვა მიზეზების ზედმოქმედებით ჩნდება რბილი ნაწილები, რომელიც მცენარეს შეუძლიან შეითვისოს, და ეს შეადგენს მისს საზრდოს. ამ საზრდოში არის სხვა-და-სხვა გვარი მინერალური ნივთიერებანი: ნიტრი, კალი, რკინა, კირი და მრავალი სხ.

თუმცა ყველა მცენარე ითვისებს მინერალურ ნივთიერებას, და უამისოდ შეუძლებელია მცენარის ზრდა და ნაყოფის გამოღება, მაგრამ ზოგი მცენარე თხოულობს მომეტებულს ერთ გვარ მინერალურ ნივთიერებას და ზოგი მომეტებულს მეორე გვარს. თუ მაგალითად, ერთსა და იმავე მიწაზედ, რამდენსამე წელიწადს ზედი-ზედ, ერთი და იგივე მცენარის თესლს სთესვენ, შემდეგ რამდენისამე წლისა, ამ მცენარის მოსავალი იკლებს; ეს იმას ამტკიცებს, რომ მიწას თანდათან აკლდება ის ნივთიერება, რომლებითაც მცენარე იკვებებოდა და, ბოლოს, შესაძლებელია, ის ნივთიერება ისე გამოილიოს, რომ სათესურიც ვერ დავიბრუნოთ. მცენარეების ტანიც უფრო სუსტი გამოდის; ბოლოს უჩნდება სხვა-და-სხვა სენი და მტერიც—სოკოები, მწერები, მატლები და, რასაკვირველია, ისედაც დასუსტებულს და მშიერს მცენარეს ყველაფერი მოერევა.

თუ ამ მცენარის მაგიერ სხვა რამე დათესეს და შემდეგ რამდენისამე წლისა ისევ დაიწყეს იმავე მცენარის მარცვლების თესვა, რაც უწინ ჰქონდათ, მოსავალსაც რიგიანს მიიღებენ და სენიც არ იქნება. მაშასადამე მცენარეების ცვალება, ნაყოფის ცვალება, სასარგებლო გამოდგა. ამ ცვალებამ, თითქო ისევ დაბადა მიწაში ის საზრდო, რომელიც პირველ მცენარისათვის საჭირო იყო. ნაყოფის ცვალების მაგიერ ჩვენში ხმარობენ მიწის დატოვებას დასასვენებლად რამდენსამე წელს: სხვა ქვეყნებში-კი ხმარობენ მიწის რიგიანად დამუშავებას, ან მონაკვლას.

ჩვენში, სადაც ასეთი მიწის სიძვირეა, მიწის დატოვება დასასვენებლად დიდხანს, დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მისი მაგიერობა შეიძლება გასწიოს მიწის რიგიანად დამუშავებამ და ნაყოფის ცვალებამ.

ბოსტანში მიწის დასვენება, რასაკვირველია, უადგილოა. აქ უნდა იხმარებოდეს ნაყოფის ცვალება და მონაკვლა (განპატივება) და ჩვენც ამაზედ უნდა გვქონდეს აქ საუბარი.

ბოსტნის ყველა მცენარეები საზრდოს მოთხოვნილების შესახებ განიყოფებიან სამ ჯგუფად: ერთს შეადგენს ისეთი მცენარეები, რომელიც თხოულობს ძალიან მონაკლულ მიწას; მეორე ჯგუფის მცენარეები ითხოულობს ნაკლებს პატივს და მესამისათვის მიწას სულ არ ასუქებენ,—პირიქით, ეს მცენარეები მიწის გამსუქებელ მცენარეებად ითვლებიან. არის კიდევ მეოთხე ჯგუფი, რომლის მცენარეების მიწას დიდი მონაკვლა უნდა.

პირველ ჯგუფის მცენარენი არიან ისეთნი, რომელთაც საჭმელად ზედა ნაწილებს ვხმარობთ, ე. ი. იმ ნაწილებს, მიწის ზეით რომ იზრდება, მაგალითად: ბადრიჯანი, წიწაკა, კომბოსტო, პამიდორი, თხრახუნა (ფოთლის), სალათა, ტარხუნა, კიტრი და მრავალი სხ.

მეორე ჯგუფისა არიან მცენარენი, რომელთა ძირებს ვხმარობთ საჭმელად. მაგალითად: სტაფილო, ხახვი, კარტოფილი, წითელი მხალი, კომბოსტო მხალი და მრავალი სხვა, გარდა თვის ბოლოკისა და ნიახურისა, რომელთაც ბევრი პატივი უნდა.

მესამე ჯგუფში ითვლება სხვა-და-სხვა ლობიო, ცერცვი, მუხუდო, სოია და საზოგადოდ პარკეიანი ბოსტნეულობა.

მეოთხე ჯგუფს შეადგენენ არტიშოკი, სტაცური, ხარდალი (ხრენი), ხენდრი (კლუბნიკა), მარწყვი (ზემლანიკა) და სხ., რომელიც ერთსა და იმავე ადგილზედ, რამდენსამე წელიწადს იზრდება და ზამთარშიაც ჰხარობს.

პირველ ჯგუფის მცენარეთათვის უფრო ხმარობენ ახალს პატივს, რომელიც უნდა დაიყაროს მიწაზედ და შეერიოს მიწას გადაბარვით, შემოდგომაზედ. მეორე ჯგუფის მცენარეს ახმარებენ დამპალ ნეხვს, რომლითაც უნდა მოინაკლოს გაზაფხულზედ. თუმცა ახალ პატივზედაც ძირთ ნაყოფიანი მცენარეები (ხახვისა და სხვა) ბევრს მოსავალს აძლევს, მაგრამ უგემური გამოდის. მეოთხე ჯგუფის მცენარეებს პატივს აძლევენ შემოდგომასა და გაზაფხულზედ.

რადგანაც ბოსტანში ოთხ-ნაირი მცენარეები უფილა, საბოსტნე ადგილიც ოთხად უნდა დაიჭრას და შემოიღოს რიგიანი ნაყოფის ცვალება, რომელზედაც შემდეგ მოგილაპარაკებთ.

(შემდეგი იქნება)

ნ. მკურნალი.

ნარკვევი

(შემდეგი *)

თვით მართველობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, აი, რა არის წესიერებისა და მშვიდობიანობის მომასწავებელი. თუ კაცმა არ იცის, რა ხდება მის გარშემო, რისთვის ხდება და როგორ; თუ მას არ შეუძლიან დაიცვას თავის“ და იმ წრის ინტერესები, რომელშიაც ტრიალებს,—ის ამ შემთხვევაში გულგრილად უყურებს ყოველ გვარს ცვლილებასა და წინმსვლელობას. თუ ადამიანის ცხოვრება უზრუნველ ყოფილი არაა, თუ მას რაიმე განსაცდელი მოელის, ამ შემთხვევაშიაც არ ცდილობს დაბრკოლებას წინ გადაეღობოს, თავის თავი თითონ დაიცვას: ის ელის და უცდის ყოველის შემძლე მთავრობა დამიფარავსო.

კომიტეტმა საჭიროდ სცნო მოსამსახურენი და მოხელენი თავიანთ დანაშაულისათვის პასუხის მგებელნი იყვნენ სასამართლოს წინაშე. სასამართლო იხილავს საქმეებს, დანაშაულებს მოწმეთა შემწეობით. არავითარი საბუთი არაა, თანამდებობის კაცი გამორიცხული იყოს ამ საერთო დადგენილებისაგან. მთავრობის კანტროლს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფორმალური წესები ყოველთვის ჰფარავს ბოროტმოქმედებას. ცილის წამებისაგან დაგვიცავით—ამბობს ბევრი. მაგრამ ცილის წამება ხდება იქ, სადაც საქმე ჩუმად, ფუჩუნით კეთდება; ცილის წამება მოისპობა მაშინ, როცა შეაშუქებს ყოველგან გამოქვეყნებისა და გამომჟღავნების სინათლე. ამ გვარი სამართალისა ეშინაა მხოლოდ დამნაშავეს და შორს გაურბის... უდანაშაულო მხოლოდ აქ ხედავს ერთად ერთ ხსნას ცრუ და ყალბ ბრალდებისაგან.

გამომჟღავნება და გამოქვეყნება, რა მშვენიერი, რა დიდებული სიტყვებია! გონების და ჭეშმარიტების სინათლე! რა კარგია!

მთელი აღმასრულებელი უფლება მოხელე—ბიუროკრატების ხელშია, რომლებსაც ხალხის ინტერესი ფეხებზე ჰკიდიათ. ისინი პასუხის მგებელნი არიან იმ სამართალის წინაშე, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს, და ესეც მაშინ ხდება, როცა ამას მოისურვებენ მათი უფროსები, იგივე ბიუროკრატები.

მთელი ხალხის ბედ-იღბალი მთავრობის აპეკუნობის ხელშია. არც ერთ წვრილმან საქმეს საზოგადოებას არ ანდობენ; ყველაფერი უმაღლესი მთავრობის ბრძანებითა და განკარგულებით კეთდება.

ხალხს იმის უფლებაც-კი არა აქვს, რომ შეერთებული ძალით მდინარეზე ხიდი გასდოს, არა აქვს ნება წერა-კითხვის სწავლებისთვის მასწავლებელი მოიწვიოს; ყველა ამაზე მთავრობის ნება-რთვაა საჭირო. ცენტრალიზაცია უმაღლეს საფეხურამდეა მიღწეული. გარდა ამისა, აღმასრულებელი დაწესებულების ხელშია სამეურნეო, პოლიციური, სასამართლოს და გამომძიებლის საქმეები. ადამიანის პიროვნებას როგორც უნდათ ისე ექცევიან...

აქედან აშკარად და ნათლად სჩანს, რომ მთავრობის აპეკა ხალხის ცხოვრებაზე პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება და იწვევს ათას გვარ უკანონობასა და ბოროტ-მოქმედებას. შეუსრულებელ კანონებს არსად ასრულებენ, თითონ მთავრობამაც უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. დღევანდელ პირობებში სახელმწიფო სამსახური სამარცხვინო ხელობად გახადეს ადამიანურ ღირსებას მოკლებულ მოხელეებმა.

ამ გვარმა მდგომარეობამ, მთავრობის განუსაზღვრელ აპეკუნობამ მეტის მეტად შეაფერხა ხალხის ცხოვრება. ჩვენი ადმინისტრაცია,—ეს მთელი გროვაა ათას გვარი უკანონობის და ძალმომრეობისა, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი. ამ გვარ წყობილებაში კანონი აღარ არსებობს, გამეფებულა და ბატონობს მხოლოდ ერთი თავაშვებული, აღვირ წახსნილი ძალმომრეობა და თვითნებობა, რომელსაც კერპად გაუხდია მხოლოდ მარტო ფული და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

(დასასრული იქნება)

ნარევი და ნაკვესი

არისტოკრატიასაც სცოდნია ქურდობა. ოდესაში, რუსეთის გაზეთების სიტყვით, მომხდარა ერთი ამბავი, რომელიც ნათლად ჰმოწმობს, რომ ზოგიერთს არისტოკრატს არ გაუჭირდება ხელის მოთბობა, თუ ხელის მოსათბობი ნახა რამე. ოდესაში რამდენიმე წარმოდგენა გაჰმართა არტისტმა ბ. ბარრერმა და ბოლოს დააპირა სხვაგან წასვლა. წასვლის წინად გარს შემოერტყნენ აუარებელი თაყვანისმცემელნი, რომელნიც დიდის აღტაცებით ემშვიდობოდნენ თავიანთ გაღმერთებულს არტისტს. ამ ძვირფას სტუმრების ყოფნის დროს ბარრერმა პატარა კოლოფში ჩაალაგა ძვირფასი ნივთები, ღირებულნი 1500 მანეთად და იქვე დასტოვა. რამდენისამე წამის შემდეგ ბარრერი მიბრუნდა კოლოფის ასაღებად. მკითხველი თვით წარმოიდგენს ბარრერის შეკრთომას და აღელვებას, როდესაც ჰნახა, რომ კოლოფი რაღაც მანქანებით გაჰქრა. ბარრერმა ერთი პირობა დაპირა, სტუმართათვის ეს არ გაეგებინებინა, მაგრამ ისე აღელდა, რომ ვეღარ დაიჭირა თავი და გამოუცხადა, კოლოფი დაიკარგაო. დადგა გაშტერების წამი. სტუმართ აღარ იციან, რა ჰქნან, ვის დაადონ ხელი და უთხრან, შენა ხარ ქურდიო. ან კი როგორ შეეძლო ვისმე სტუმართაგანისთვის ხელი დაედო და ქურდობა დაებრალებინა: ყველანი დიდად პატივცემულნი იყვნენ და ერთმანეთის ნაცნობნი. არტისტის თაყვანის მცემელთა შორის იყო, სხვათა შორის, მომრიგებელი მოსამართლე ლისკოვეცკი, რომელმაც აღიარა, რომ ქურდობა მოიქმედა, ალბად, ერთ-ერთმა ჩვენთაგანმაო. მოსამართლემ პირველად გაჩხრიკა კარგად მთელი სახლი, მაგრამ ნივთი არ აღმოჩნდა, შემდეგ-კი კარები დაჰკეტა გასადებით და მოსამსახურე გაჰგზავნა პოლიციის დასაძახებლად.

— ბატონებო,—მიუბრუნდა მოსამართლე დამსწრეთ—, ჩვენ ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავცვივდით. არტისტს ბარრერს შეუძლია ყოველი ჩვენგანი ქურდად ჩასთვალოს. ეს სირცხვილი რომ ავიცდინოთ, ამიტომ საჭიროა ყოველი ჩვენგანი გაიშინჯოს, მანამდე-კი სახლში არ წავიდეს.... მოსამართლეს სიტყვებმა ძალიან იმოქმედა დამსწრეებზედ. ყველანი აღელდნენ და ხან წინ მიდიოდნენ, ხან უკან. „აგერ ძვირფასი ნივთები“—გაისმა ხმა დამსწრეთა შორის და ყველას გაეხარდა. კოლოფი ნახეს საწოლზედ, რომელიც, ორი წამის წინად, ათჯერ მეტად გაშინჯეს პირისპირ ყველა დამსწრეებმა. ამგვარად ქურდი მაინც ვერ იპოვეს... შემდეგ პოლიციაც მოვიდა...

---

*) იხ. „ივერია“ № 46.

სასამართლო

მომრიგებელ შუა-კაცის თავ. ვეზირიშვილის მოკვლა.

1902 წ. ივლისში გორის მაზრის მომრიგებელი შუაკაცი თ. სვიმონ ვეზირიშვილი წასულა ს. ქვარებში და ჩამომხტარა მიხეილ კოხაშვილთან. ვეზირიშვილს თავის მამულზე მოსახლე ხიზნებისათვის საიჯარო ფული უნდა გადაეხდევინებინა. 31 ივლისს ვეზირიშვილი წასულა ხოვლეში, რომელიც ქვარებიდგან 40 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. თან გაჰყოლია მოურავი მიხეილ ადუაშვილი და ილიკო კოზაშვილი. როდესაც მგზავრნი ხოვლეს დაუახლოვდნენ და მიაღწიეს პატარა ტყეს, გავარდა თოფი, მოხვდა ვეზირიშვილს ზურგში, გაუარა კუჭში და შემდეგ გულმკერდში. ვეზირიშვილი ცხენიდგან ჩამოვარდა და მაშინვე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ვეზირიშვილს ამის თქმა-ღა მოუსწრია „ვაიმე, მიხო, მიშველე, ვაიმე შვილებო“. თ. ილიკო კოზაშვილს ცხენი დაფრთხობია და გადმოვარდნილა კიდეც ძირს; მას გული წასვლია, მაგრამ ჩქარა მოსულა გონს და გაუხედნია ტყისაკენ, სადაც დაუნახავს სამი კაცი, რომელნიც გაქცეულან. ეჭვი აუღიათ სანდრო, მაქსიმე და გიგლა გოგიჩაშვილებზედ, რომელნიც ვეზირიშვილის მამულზედ ხიზნებად იყვნენ და უსიამოვნება და დავა ჰქონდათ ვეზირიშვილთან.

პოქაულს გოგოხიას ეს სამი დაუპატიმრებია და, გამოძიების დროს, გიგლა გოგიჩაშვილს, რომელსაც თოფი ჰქონდა წინად, თოფი აღარ აღმოაჩნდა. აღმოუჩენიათ მხოლოდ პირ-ჩამტვრეული ხანჯალი, რომელსაც პირზედ მიკრობილი ჰქონია მუხის პატარა ტოტი. იყო ზოგიერთი საბუთებიც, რომლის მიხედვითაც დაპატიმრებულ იქმნენ ეს სამი კაცი.

ეს საქმე 24 თებერვალს განიხილა გორში სასამართლომ. გიგლა და სანდრომ განაცხადეს სასამართლოში, ცოდვას ვერ დავიდებთ და ვერავის დავაბრალებთ ვეზირიშვილის მოკვლასო. ჩვენ მოვკალით ისაო და ახლა კიდეც ვნანობთ, მაგრამ სხვა გზა არა გვქონდაო.

პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი კიდევ ჯიბრაილი, მაქსო ჯიბრაილის ძე და მაქსო გიორგის ძე გოგიჩაშვილები. მათ განაცხადეს, ჩვენ დამნაშავენი არა ვართო.

სასამართლომ გიგლასა და სანდრო გოგიჩაიშვილებს მიუსაჯა თითოს 12 წლით კატორგაში გაგზავნა. დანარჩენნი ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ. ბრალმდებლის ამხანაგმა ლაპო-დანილევსკიმ პროტესტი განაცხადა და საქმეს პალატაში ასაჩივრებს. ის თხოულობს უდანაშაულოდ ცნობილთა დასჯასაც.

„ივერიის“ ფოსტა:

ზუგდიდი. გარეშე მეთვალყურეს. თქვენი წერილის დაბეჭდვა რედაქციამ საჭიროდ არ სცნო.

ქუთაისი. არ. ი—ლს.

ჩვენი რაჭველი გოგიას
ვერ უდრის მუშა ერთია,
სწორედა რომა ის ერთი
სხვა მუშებთან ღმერთია...
კმარა!

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 თებერვალი.

ტამბოვი. მთავარ-ეპისკოპოსი დიმიტრ წავიდა ყაზანს თავის ახალ თანამდებობის ა სასრულებლად.

ვენა. აშ (ჩრდ. ბოჰემიის) ლამის განმავლობაში მსუბუქად იძრა მიწა.

მადრიდი. ოფიციალურ ცნობით, გენერალურს საბჭოზედ აირჩიეს 311 სამინისტრო მომხრე, 129 ლიბერალი, 20 დემოკრატი, 10 კარლისტი, 10 რეგიონალისტი, 11 დ მოუკიდებელი. პალატის კრების შეწყვეტ დეკრეტი გამოცხადდება 20 მარტს.

მოსკოვი. უმაღლესად დამტკიცებულ საბჭომ ბალინსკის პროექტი გადასცა მოსკ ვის გენერალ-გუბერნატორს სათანადო გან კარგულებისათვის.

ლონდონი. სამხედრო უწყების ხარჯი, ს ვარაუდო აღრიცხვით, უდრის 35,836,88 გირვანქა სტერლინგს. მოსაზრებულია აშენ დეს სამი საომრო გემი, 4 კრეისერი პირვე ლის კლასისა. ხარჯთ აღრიცხვა წინა წლისა 3,202,000 გირვანქით სჭარბობს.

სტამბოლი. კეთება კონია-ერეგლის ბა დადის რკინის გზის ნაწილისა ამ დღეებშ დაიწყება. ინჟინრები წავიდნენ კონიას.

სოფია. სამხედრო მინისტრმა პაპრიკოვ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შე ტანა, რადგან მინისტრთა საბჭომ ფული არ გადასდო შესაიარაღებლად.

ლონდონი. წარმომადგენელთა პალატა ბოულსი ჰკითხულობს, გამართა თუ არა მ წერ-მოწერა ინგლისის მთავრობამ რუსისა დ სპარსეთის მთავრობასთან საბოლოო შეთან ხმების დასადგებად რუსისა და ინგლისის შ რის მოქმედების გამოსარკვევად და სპარ სეთზე გავლენის გასანაწილებლად. კრან ბორნმა უპასუხა, ფრიად სასურველია ინგ ლისი შეეთანხმოს რუსეთს შესახებ მათ ინ ტერესებისა სპარსეთში და სხვა ქვეყნებში, ეს საგანი ეხლახან განხილულ იქმნა ორივ მთავრობათაგანაო.

პეტერბურგი. 24 თებერვალს საქველ მოქმედო წარმოდგენას მარინეს თეატრში დ ესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწი მემკვიდრე, დიდი მთავრები და დიდნი მთა რინანი.

24 თებერვალს „საზნაურო კრებაში“ ს იუბილეო წარმოდგენას დაესწრნენ ხელმწი იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული დ ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწი მემკვიდრე.

პეტერბურგის ბირჟა, 25 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,0
ბერლინში 100 მარკაში	45,97$^1/$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,9
ბერლინში ,,	46,27$^1/$
პარიჟში ,,	37,72$^1/$
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$$^0/$
4$^0/_0$ სახელმწიფო რენტა	98$^1/_2$ გაყ
4$^0/_0$ სახ. სესხი 1902 წ.	101$^1/_2$ გაყ
4$^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ
5$^0/_0$ 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454 გაყ
5$^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356$^1/_4$ გაყ
5$^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	304 გაყ
5$^0/_0$ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$$^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5$^0/_0$ ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4$^1/_2$$^0/_0$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6$^0/_0$ ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5$^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	394 წვ. გაყ
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	197 წვ. გაყ

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სა თი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს.

წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3(საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, დღის თორმეტ საათზედ, 28 თებერვალს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უწმინდურობათა გასაყვან მილის ასაშენებლად სიგრძით 80,00 საჟენი, სიგ. 0,375×0,25 საჟ. მილი უნდა გაყვანილ იქმნას მიხეილის პროსპექტიდგან—სადაც ამ ჟამად არის უკვე გაყვანილი მილი—ამავე პროსპექტზედ, ფარსადანოვის სახლამდე 1,700 მ.

პირობის შეტყობა მსურველს შეუძლიან გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში, ყოველ უბრალო დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—3)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.



ლაბარატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენევულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჰია-ღუის წინაალმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინაალმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს საათიაქო მაღაზიაში.

(40—6.—8)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მაიოულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის საძრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—7)

საბუჰგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

საბუჰგალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები.** ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორისავე სქესისანი**, 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთარების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს, საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილიანი**, იურისტები: ა. ი. **მიცკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი**, მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი**, ს. ე. **კოზლოვი**, ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88. (10—473—10)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსო საჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟნიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—5)



მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აზიურ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.

გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ. (7—3)

გამგეობა

ქონებათა ცეცხლისაგან დაზღვევის ტფილისის საურთიერთო

საზოგადოებისა

პატივის-ცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის თებერვლის 23, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება.

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1902 წლისა.

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის.

3) მოხსენება გამგეობისა, რომ მიეცეს სესხი პენზის ურთიერთ დამზღვევ საზოგადოებას.

4) გამგეობის ჟურნალი, რომ შემწეობა მიეცეს ტფილისის ქალაქის თვით-მართველობას, რათა მან მოაწყოს მეორე დამოუკიდებელი ცეცხლის მქრობელთა რაზმში.

და 5) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებლად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა პ. ი. ალიბეგოვის მაგიერ, რომელიც იყო თავმჯდომარედ გამგეობისა და რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს გამგეობის წევრობას.

ბ) გამგეობის წევრების ერთის კანდიდატისა გ. მ. მერაბოვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთის კანდიდატისა ნ. მ. ოსტროვსკისა და ი. ა. მელიქ-ბეგლაროვის მაგიერ, რომელთაც გაუვიდათ ვადა სამსახურისა.

დ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთი კანდიდატისა ი. მ. ალიხანოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს სამსახურს.

ე) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა გ. ი. თამამშევისა და კ. მ. გამაზოვის მაგიერ.

ვ) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, მათ შორის ერთი უნდა არჩეულ იქმნას თ. ვ. გ. ბებუთაშვილისა და ზ. დ. მამულოვის მაგიერ.

ამასთანავე გამგეობა პატივის-ცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ, ან საზოგადო წესისამებრ;

3) მდედრობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათაგან განუყრელის მათს შვილებს.

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანეს საზოგადო კრების წინა დღისა. (2—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 26 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.